შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№31 (9.696)

29 აგვისტო-5 სექტემბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

საავადმყოფოს მშენებლობა აქტიურ ფაზაშია

დედოფლისწყაროში ახალი მრავალფუნქციური კლინიკის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. მშენებლობის პროცესს ადგილზე გაეცნო მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

„ვიმყოფები იმ ადგილას, სადაც დედოფლისწყაროში ახალი საავადმყოფო შენდება. ჩვენი ხელისუფლებისთვის და ჩვენი მოსახლეობისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საავადმყოფო ერთ-ერთი უმთავრესი წინასაარჩევნო დაპირება იყო. მიხარია, რომ არჩევნების შემდეგ, პირველივე წელს დავიწყეთ ამ დაპირების განხორციელება. მოვედით და ადგილზე შევხვდით სამუშაოს მწარმოებლებს, იმ გუნდს, რომლებიც მშენებლობას ახორციელებენ, რათა გაგვეგო, რა ეტაპზეა მშენებლობა. ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის და დაპირებული ვადისთვის ყველაფერი მოესწრება - წლის ბოლოს დედოფლისწყაროს ექნება 25 საწოლიანი ახალი საავადმყოფო, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში სამედიცინო სერვისს ხარისხობრივად გამოასწორებს და ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აღარ მოუწევს სხვაგან სიარული იმისთვის, რომ კარგი სამედიცინო დახმარება მიიღოს“ – განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

მრავალპროფილური კლინიკის მშენებლობა 2014 წლის დეკემბრის ბოლოს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება. მშენებლობა აქტიურ ფაზაშია შესული, მიმდინარეობს შიდა ტიხრების ამოყვანა და უახლოეს დღეებში დაიწყება შენობის გადახურვაც. მშენებლობაზე დასაქმებულია 20 ადამიანი, აქედან 7 ადგილობრივია.

„სამშენებლო სამუშაოებს შპ.ს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ ახორციელებს. „ჩვენი ვალდებულებაა, რომ ახალი წლისთვის დავასრულოთ საავადმყოფოს მშენებლობა. სამუშაოების განხორციელებაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა გვერდში გვიდგას. თუ კი რამე დაგვჭირდება, უარს არაფერზე გვეუბნებიან“– განაცხადა სამუშაოთა მწარმოებელმა ალექსანდრე მინდორაშვილმა.

პროექტი ერთსართულიანი, თანამედროვე დიზაინის შენობის მშენებლობასა და ეზოს კეთილმოწყობას ითვალისწინებს. ახალი საავადმყოფო საერთაშორისო სტანდარტების უახლესი ტექნიკით აღიჭურვება და 25 პაციენტს ერთდროულად ხარისხიან და მრავალმხრივ სამედიცინო მომსახურებას გაუწევს. კლინიკა დედოფლისწყაროსა და ირგვლივ მდებარე 16 სოფლის, ჯამში, 32.531 მაცხოვრებელს მოემსახურება.

პროექტი სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტებიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 3 მლნ 700 ათას ლარს შეადგენს.

ყურძნის ფასი ცნობილია

კახეთში რთველი 5 სექტემბერს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროდან დაიწყება. ღვინის ქარხნები 1 კილოგრამ რქაწითელსა და მწვანეში 35 თეთრს გადაიხდიან, საფერავში 70 თეთრს. ჯამში, სახელმწიფო სუბსიდიის ჩათვლით, რქაწითელის და მწვანეს მისაღები ფასი 70 თეთრი იქნება, საფერავის 85. მიკროზონებში მოწეული საფერავის ფასი შესაძლოა 1 ლარი ან მაქსიმუმ 1.20 ლარი იყოს. ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის გიორგი სამანიშვილის განცხადებით, 70 თეთრი კარგი ფასია.

რთველის საკოორდინაციო შტაბის ინფორმაციით, ამ ეტაპზე შტაბში უკვე 10 საწარმოა რეგისტრირებული, რომლებიც წელს ყურძენს მიიღებენ.

ყურძნის მიღებას გეგმავს შპს „ყვარლის სარდაფი“, ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში. კომპანიის წარმომადგენელმა ონისე ღვალაძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს უთხრა, რომ მიიღებენ დაახლოებით 50 ტონა რქაწითელს, კილოგრამს 35 თეთრად, სუბსიდიის ჩათვლით 70 თეთრად და 200 ტონამდე საფერავს. ერთ კილოგრამ საფერავში ქარხანა 70 თეთრს გადაიხდის, რასაც 15 თეთრი სუბსიდია დაემატება. „მიკროზონაში მოყვანილ საფერავში შესაძლოა მაქსიმუმ 1 ლარი გადავიხადოთ სუბსიდიის ჩათვლით“, — აღნიშნა ონისე ღვალაძემ. მისივე თქმით, „ყვარლის სარდაფმა“ 2014 წელს 500 ტონამდე ყურძენი ჩაიბარა, მაგრამ 2015 წელს საექსპორტო ბაზრებზე ქართული ღვინის ექსპორტის მნიშვნელოვნად შემცირების გამო, საწარმოს დიდი რაოდენობით ღვინო აქვს გასაყიდი.

700 ტონამდე ყურძნის მიღებას გეგმავს შპს „ფაფრის მინდვრები“. კომპანიის დირექტორის გიორგი ხაზიურის განმარტებით, აქედან დაახლოებით 400 ტონა რქაწითელი იქნება, 300 ტონა კი საფერავი. „ფაფრის მინდვრებიც“ ერთ კილოგრამ რქაწითელში სუბსიდიის ჩათვლით 70 თეთრს გადაიხდის, საფერავში 85 თეთრს. „მიკროზონის საფერავმა შესაძლოა 1.10 ან 1.20 ლარსაც მიაღწიოს“, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გიორგი ხაზიურმა.

ს/ს „თელავის ღვინის მარანს“ ჯერ არ გადაუწყვეტია. წელს მოსახლეობისგან ყურძენს ჩაიბარებს თუ არა. „300 ჰექტარზე საკუთარი ვენახი გვაქვს. მოსავალს რომ ავიღებთ, ვნახავთ რა რაოდენობის ჭურჭელი დაგვრჩება და იმის მიხედვით გადავწყვეტთ, რამდენი მივიღოთ ან მივიღოთ თუ არა საერთოდ. თუ ყურძენს ჩავიბარებთ, რქაწითელში სუბსიდიის ჩათვლით მაქსიმუმ 70 თეთრს გადავიხდით, საფერავში 85 თეთრს“, — განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა თენგიზ ჯავახიშვილმა.

წელს მოსახლეობისგან ყურძნის მიღებას საერთოდ არ აპირებს გურჯაანში მდებარე შპს „ხაოს მარანი“. კომპანიის დირექტორის გოჩა დაუდიშვილის ინფორმაციით, გასულ წელს მოსახლეობისგან 1000 ტონამდე ყურძენი მიიღეს და ამ დრომდე მხოლოდ 60 ტონა ღვინო აქვთ გაყიდული, აქედან 50 ტონა თეთრი ღვინო და 10 ტონა წითელი. „შარშანდელი ღვინო ისევ ისე მაქვს. ვერ გავყიდეთ“, — ამბობს გოჩა დაუდიშვილი.

მოსახლეობისგან ყურძენს წელს არც შპს „ასკანელი ძმები“ ჩაიბარებს. კომპანიამ 1000 ტონაზე მეტი ყურძენი გასულ წელს ყვარელში ჩაიბარა. „წელს მოსახლეობისგან ყურძენს არ მივიღებთ. ღვინო ძირითადად რუსეთსა და უკრაინაში გაგვაქვს, სადაც დაძაბული ვითარებაა და ექსპორტი სერიოზულად შემცირდა“, — უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ასკანელი ძმების“ მენეჯერმა ბესიკ კევლიშვილმა.

(გაგრძელება გვ.3)

ვინ აღადგენს გადამწვარ შირაქს

გვ.5

ყურძნის ფასი და ფალსიფიკაცია

გვ.3

„მთავარი საქმისადმი სიყვარული და შრომაა“..

გვ.4

გიორგი ნათათრალაშვილის წარმატების ფორმულა

გვ.8

ულოცავენ!

ძვირფასო პირველკურსელებო, მსურს, ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით, მოგილოცოთ სტუდენტობა. ეს პირველი გამარჯვებაა, რომელიც თქვენ დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე მოიპოვეთ , იმ გზაზე, რომელიც მხოლოდ ახლა იწყება. თქვენ ახალგაზრდული სულისკვეთება, თავისუფლების წყურვილი, თამამი იდეები, უშრეტი ენერგია, მტკიცე თავდაჯერებულობა და ურყევი ოპტიმიზმი გაგაჩნიათ, ხართ ძლიერები და თამამები . სწორედ ახლაა ის დრო, როცა თქვენი შესაძლებლობების რეალიზებისთვის მაქსიმალური მხარდაჭერა და ხელშეწყობა გჭირდებათ. საბედნიეროდ, თქვენ ცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც განათლება პრიორიტეტია და ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს საგანმანათლებლო სფეროში ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად . მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ თქვენს უკან დგანან თაობები, რომელთაც ელემენტარული პირობებიც კი არ ჰქონდათ განათლების მისაღებად, მაგრამ მათ ეს მაინც შეძლეს, ქვეყანა დღევანდელ დღემდეც მოიყვანეს და თქვენი მომავლისთვისაც იბრძოლეს. ახლო მომავალში თქვენ უნდა იყოთ ის ადამიანები, რომელებიც ქვეყნის შენების მძიმე და საპატიო ტვირთს გადაიბარებთ და საქართველოს ისტორიის დიდ და ნათელ ეპიზოდს დაწერთ. ძვრფასო დედოფლისწყაროელებო, ახლა უკვე პირველკურსელებო, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სტუდენტობა თქვენი პირველი გამარჯვებაა, რომელიც დიდი შრომით მოიპოვეთ, გარჯისა და თავდადების გარეშე კი ტრიუმფის მიღწევა შეუძლებელია. ამიტომაც გისურვებთ იმ იმედების გამართლებას, რასაც თქვენი მშობლები, ნათესავები,თითოეული ჩვენთაგანი, მშობლიური დედოფლისწყარო და სრულიად ერი ამყარებს თქვენზე. არ დაივიწყოთ, რომ განათლებული, ძლიერი და თავისუფალი ახალგაზრდობა ზუსტად ასეთივე ქვეყნის გარანტიაა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ სტუდენტობას. წინსვლას, წარმატებებს, დიდ და ნათელ მომავალს გისურვებთ.

ზვიად ჯავახიშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საუნივერსიტეტო ცხოვრების დაწყებას ვულოცავ ყველა პირველკურსელს! თქვენს ცხოვრებაში სრულიად ახალი, საინტერესო პერიოდი, სტუდენტობის წლები იწყება.

მისასალმებელია, რომ წელს დედოფლისწყაროელმა აბიტურიენტებმა ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენეს ერთიან ეროვნულ გამოცდებში. მე ამით ძალიან ამაყი ვარ. როგორც ამბობენ, თქვენ პირველი სერიოზული გამოცდა წარმატებით ჩააბარეთ, გისურვებთ, ასეთივე მონდომებით დაგეძლიოთ ყველა ცხოვრებისეული ბარიერი. მეც, ისევე როგორც ჩვენს გუნდს, რომელიც დღეს მუნიციპალიტეტს და ქვეყანას უდგას სათავეში, გვესმის, რომ მხოლოდ განათლებული თაობა გაუწევს საქართველოს ღირსეულ მემკვიდრეობას. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ თქვენი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზებისთვის.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი

ირაკლი ღარიბაშვილი - სტოლტენბერგის ვიზიტი იმის დადასტურებაა, რომ საქართველო-ნატო-ს თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება

ნატო-ს გენერალური მდივნის საქართველოში ვიზიტი მორიგი დადასტურებაა იმის, რომ საქართველო-ნატოს ურთიერთობები და თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება , - ამის შესახებ საქართველოს მთავრობის მეთაურმა ირაკლი ღარიბაშვილმა ნატო-ს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან გამართულ პირისპირ შეხვედრაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა ნატო-ს გენერალურ მდივანს მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა. მხარეებმა საქართველოს ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს და მიღწეული პროგრესი შეაფასეს.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, აღინიშნა, რომ ბოლო წლებში საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოების თვალსაზრისით.

მათივე განმარტებით, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იენს სტოლტენბერგს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

"ნატო-ს გენერალურმა მდივანმა შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო უსაფრთხოებაში საქართველოს მიერ შეტანილ მნიშვნელოვან წვლილზე", - განმარტავენ მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურში.

ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი გაიხსნა

ეროვნული სასწავლო ცენტრ "კრწანისის" ტერიტორიაზე, ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი გაიხსნა.

ცენტრი ოფიციალურად ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნეს.

ინაუგურაციის ცერემონიალის ფარგლებში იენს სტოლტენბერგი საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ ასეულს შეხვდა, რომელიც ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებისთვის გადამზადდა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი და საქართველოს პრეზიდენტი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გიორგი მარგველაშვილი.

ღონისძიებას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

წვრთნისა და შეფასების ცენტრის დაარსება უელსის სამიტზე მიღებული ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის ფარგლებში იყო გათვალისწინებული. ცენტრის, ისევე როგორც პაკეტის სხვა ინიციატივის მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება, თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და ნატო-ს ძალებთან თავსებადობის გაზრდა. სხვადასხვა სახის წვრთნების ჩატარების მიზნით, ცენტრი საქართველოში არსებულ ყველა საწვრთნელ ინფრასტრუქტურასა და შესაძლებლობას გამოიყენებს. პროექტის განხორციელებას, ქართველ კოლეგებთან ერთად, ნატო-ს წევრი ქვეყნების, კერძოდ, დანიის, ლატვიის, ლიტვისა და ნორვეგიის წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ.

იენს სტოლტენბერგი - დემოკრატიული რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით საქართველო რეგიონში სამაგალითო ქვეყანაა

დემოკრატიული რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით საქართველო რეგიონში სამაგალითო ქვეყანაა, - ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

"ჩემი ვიზიტი კიდევ ერთხელ ასახავს იმ მნიშვნელობას, რომელსაც ჩვენ ვანიჭებთ საქართველო-ნატოს ურთიერთობებს, რომელიც კიდევ უფრო და უფრო მჭიდრო ხდება და ღრმავდება. უპირველეს ყოვლისა, საქართველო ეს არის ძალზე ძლიერი და საიმედო კონტრიბუტორი ჩვენი უსაფრთხოებისა. საქართველო ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენს ოპერაციებში ავღანეთში", - განაცხადა სტოლტენბერგმა და ქართველ ხალხს ერთგულებისა და განეული მსხვერპლისთვის მადლობა გადაუხადა.

ნატო-ს გენერალური მდივნის თქმით, საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის არის საიმედო პარტნიორი საერთაშორისო უსაფრთხოების თვალსაზრისით.

"საქართველო არის სამაგალითო ქვეყანა რეგიონში, რაც შეეხება დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს თქვენს ერთგულებას, რომ იყოთ ევროატლანტიკური თანამეგობრობის ოჯახის წევრი, რომელსაც ზიარი ღირებულებები აქვს. ყველა ეს რეფორმა და ის წვლილი, რომელიც თქვენ შეგაქვთ საერთაშორისო უსაფრთხოების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ეხმარება საქართველოს, რათა საკუთარი თავი ნატო-ს წევრობისათვის მოამზადოს. ნატო ამ თვალსაზრისით ეხმარება საქართველოს მის ძალისხმევაში", - განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

კახეთში სახლების სახურავების რეაბილიტაცია იწყება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, ნოდარ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, სტიქიის შედეგების საღიკვიდაციო შტაბის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი, სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის დირექტორი სოსო ოზაშვილი და ყვარლის, ლაგოდეხისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების გამგებლები.

შეხვედრაზე კომისიის წევრებმა კახეთის რეგიონის სამ მუნიციპალიტეტში ლაგოდეხში, ყვარელსა და ახმეტაში 21 აგვისტოს მოსული სეტყვის შედეგად დაზიანებული სახლების სახურავების აღდგენა - რეაბილიტაციის საკითხებზე იმსჯელეს. სტიქიის შედეგად სულ 1335 სახლის სახურავი დაზიანდა. აქედან, დაახლოებით 600-600 სახლის სახურავია დაზიანებული ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ხოლო 135 ახმეტის მუნიციპალიტეტში. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, იმ სახლების სახურავები, რომელთა დაზიანება 50%-ზე მეტია, მთლიანად გამოიცვლება, ხოლო თუ დაზიანება 50%-ზე ნაკლებია შესაბამისი მასალით შეკეთდება.

დეკანოზი - ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს უსასყიდლოდ გადმოგვცემენ, თუმცა მის მუხრანში დაბრძანებაზე, საუბარი არ არის

დეკანოზი გიორგი რაზმაძე აცხადებს, რომ ინდოეთის მხარე ქეთევან დედოფლის ნაწილებს საქართველოს უსასყიდლოდ გადმოსცემს, თუმცა არასწორია ინფორმაცია წმინდა ნანილების მუხრანში დაბრძანებაზე. როგორც "ინტერპრესნიუსს" ავჭალის წმინდა ქეთევან დედოფლის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა გიორგი რაზმაძემ განუცხადა, მუხრანში ქეთევან დედოფლის ნაწილების დაბრძანებაზე გავრცელებული ინფორმაცია აბსურდია.

დეკანოზი გიორგი რაზმაძე აცხადებს, რომ მუხრანში წმინდა ქეთევან დედოფლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის იდეის ავტორს ალექსანდრე ბიჭიაშვილს ესაუბრა და მისგან სურდა გაეგო საიდან და როგორ უნდა მოხვედრილიყო მუხრანში ქეთევან დედოფლის ნაწილები, რაზეც პასუხი ვერ მიიღო.

"ალექსანდრე ბიჭიაშვილმა ჩემი სიტყვები მიიწერა. პირველ რიგში დარტყმის ქვეშ დააყენეს თავიანთი ეპარქიის მღვდელმთავარი, მეუფე ზოსიმე. ადამიანს რომ ჰკითხო, საიდან და როგორ უნდა მოხვედრილიყო მუხრანში ქეთევან დედოფლის ნაწილები, ამაზე პასუხი, მე მგონი, არავის არ ჰქონდა. ამაზე, როგორც ჩანს, ამ ხალხს არ უფიქრია. ეს არის მეუფის შეურაცხყოფა და პირველ რიგში, ქეთევან დედოფლის უპატივცემულობა. იმიტომ, რომ ჩვენ დაგვიკავშირდა ინდოეთის კონსული, რომელიც ეს ინფორმაცია გაიგო და გვკითხა, რაში იყო საქმე. შეთანხმების მიხედვით ყოველი პუნქტი განერილია. სხვანაირი მსვლელობა აქვს მიცემული. ფაქტიურად მან ეს შეაფასა, როგორც ამ საქმის ხელშემშლელი უდიდესი ფაქტორი. როდესაც ადამიანი ასეთ ნაბიჯებს დგამს ეს არის ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული შეგნებული ან შეუგნებელი ბრძოლა", – განაცხადა დეკანოზმა.

მისივე შეფასებით, ეს უცოდინარობა იყო ან სრული უვიცობა.

დეკანოზი აცხადებს, რომ მოლაპარაკებები ინდოეთის მხარესთან მიმდინარეობს, საიდანაც ერთი თვის წინ დაბრუნდა.

"შეხვედრა გვქონდა ინდოეთის კულტურის სამინისტროში, სადაც განაცხადეს, რომ ნაწილებს გადმოგვცემენ. თუმცა, გარკვეული შეთანხმებებია მისაღნევი. სავარაუდოდ, წმინდა ნაწილებს სექტემბრისთვის ჩამოაბრძანებენ. ეს მათი კეთილი ნებაა. ამაში თანხის გადახდა საჭირო არ არის. უსასყიდლოდ გადმოგვცემენ", – დასძინა დეკანოზმა.

22 აგვისტოს "ინტერპრესნიუსთან" საუბრისას მუხრანში წმინდა ქეთევან დედოფლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის იდეის ავტორმა და მშენებლობის თანამონაწილემ ალექსანდრე ბიჭიაშვილმა განაცხადა, რომ ინდოეთიდან საქართველოში უახლოეს პერიოდში წმინდა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს გადმოასვენებენ. ინდოეთის მხარე ამისთვის თანხას აღარ ითხოვდა.

მისივე თქმით, მუხრანში შენდება ტაძარი, რომლის სარდაფში საძვალე მოეწყობა.

წმინდა დედოფალი ქეთევანი აშოთან მუხრან ბატონის ასული იყო. შაჰ-აბასის ბრძანებით წმინდა დედოფალი 1624 წლის 26 სექტემბერს ენით აუწერელი სისასტიკით აწამეს. გახურებული რვალის ქვაბი დაამხეს თავზე, მარწუხებით მკერდი დაგლიჯეს, გავარვარებული შამფურები გაუყარეს მკერდიდან ზურგში, ფრჩხილები დააძრეს, ხორცი დაგლიჯეს, ლურსმნიან ფიცარზე დააგდეს და ზედაც ლურსმნიანი ფიცარი დააჭედეს, ბოლოს გახურებული ბარით შუბლი გაუპეს. წმინდანის სხეული ჯალათებმა ნადირთა სათრევად დააგდეს, მაგრამ მის წმინდა ნეშტს ნათელი დაადგა.

წამების მხილველმა კათოლიკური ორდენის წარმომადგენლებმა, ავგუსტინელებმა წმიდა დედოფლის ნაწილები საკმევლით და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს და დიდი პატივით ინდოეთში, ქალაქ გუაში არსებულ დაგრასას მონასტერში გადაასვენეს.

შემდგომ მინისძვრის შედეგად მონასტერი დაინგრა და წმინდა დედოფლის საფლავი ბოლო დრომდე დაკარგულად ითვლებოდა. იგი ინდოელ არქეოლოგებთან და ექსპედიციის წევრებთან ერთად ავჭალის წმინდა ქეთევან დედოფლის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა გიორგი რაზმაძემ რამდენიმე წლის წინ აღმოაჩინა. გავრცელებული ინფორმაციით, მოგვიანებით, ინდოეთის არქეოლოგიური ჯგუფი წმინდა ნაწილების გადმოსაცემად დიდი ოდენობით თანხას ითხოვდა. ინდოეთის მხარემ უცხოეთში წმინდა ნაწილებს დნმ-ს ანალიზი რამდენჯერმე ჩაუტარა. დასტურდება, რომ იგი წმინდა დედოფალს ეკუთვნის.

ყურძნის ფასი და ფალსიფიკაცია

საქართველოში ყოველ წელს, რთველის მოახლოებასთან ერთად, აქტუალურია საკითხი- რა ფასი ექნება ყურძენს, აანალიზებს თუ არა ის თვითღირებულებას? მოგებაზე ამჯერად გლეხები არც საუბრობენ.

იმაზე არავის დაობს, რომ მევენახის შრომა ფასდაუდებელია, „შვილივით ნაზარდი ვაზის“ ნაყოფს კი დაბინავება და რეალიზაცია სჭირდება. ამ საკითხში სახელმწიფო მევენახეს უდგას მხარში დარგის სუბსიდირებით. ის ასევე ზრუნავს, რომ დაეხმაროს გლეხს მოწეული მოსავლის რეალიზაციაში და შუამავლის ფუნქციასაც ასრულებს. თუმცა, ყურძენზე ფასის ზრდა მხოლოდ ფალსიფიკაციასთან ბრძოლითაა შესაძლებელი.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ლევან დავითაშვილის განცხადებით, საქართველოში ფალსიფიცირებული ღვინის რეალიზაციის ფაქტები უნდა გამოირიცხოს.

როგორც “ინტერპრესნიუსს” ლევან დავითაშვილმა განუცხადა, სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას ინიციატივით, სამინისტრომ გასული წლიდან ღვინის ფალსიფიცირების ფაქტების გამოვლენასთან დაკავშირებით ბრძოლა დაიწყო. ამ მიზნით გასულ წელს მათ აკრძალეს გამოწნეხილი მასის, ანუ ჭაჭის მესამე პირებზე გადაცემა. დავითაშვილის განმარტებით, ამის მიზანი იყო მეორადი, ფალსიფიცირებული ღვინოების რეალიზაციის ფაქტების ბაზარზე შემცირება. ამასთან ერთად “სურსათის ეროვნულ სააგენტოს” დაევალა ამ მხრივ შემოწმებები გაეაქტიურებინა.

მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, შესაბამისად, წლის დასაწყისიდან სააგენტო შემოწმებებს აქტიურად ახორციელებს.

“ამ თვალსაზრისით წლის დასაწყისიდან დაახლოებით 302 შემოწმება ჩატარდა და 55 შემთხვევაში ღვინის დამზადების დროს ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის ფატები გამოვლინდა. მათგან 13 შემთხვევა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს რეაგირებისთვის გადაცა, სადაც ფალსიფიცირების ნიშნები იკვეთებოდა. 17 შემთხვევაში კი ბაზრიდან ღვინის გამოთხოვა მოხდა. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, ინდმეწარმე “შალვა საპანაძის” მიერ ჩამოსხმულ ღვინოში ფალსიფიკაციის ნიშნები იკვეთება. მინდა ავღნიშნო, რომ ბოთლში ჩამოსხმული ღვინის რეალიზაცია და განსაკუთრებით კი ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების რეალიზაცია, სპეციალურ პროცესს გადის. კერძოდ, ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ ღვინის მწარმოებელი კომპანია რეგისტრირებული იყოს “ღვინის ეროვნულ სააგენტოში” და ღვინის ჩამოსხმამდე პროცესი მთლიანად კონტროლდება. აღნიშნულ შემთხვევაში ასეთი მომენტი არ არსებობდა. ინდმეწარმე დარეგისტრირებული არ იყო და შესაბამისად, ღვინის წარმოების პროცესი ჩვენი მონიტორინგის ქვეშ არ იმყოფებოდა. ამავე დროს ღვინოში აღმოჩნდა ხელოვნური საღებავები, რაც დაუშვებელია. ამიტომ ეს პროდუქცია მაღაზიიდან გამოთხოვილია და განადგურდება. შესაბამისად, მეწარმის მიმართ დაიწყება მოკვლევა. ფაქტზე რეაგირებას ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური მოახდენს”, – დასძინა მინისტრის მოადგილემ.

ლევან დავითაშვილის თქმით, ეს არის აუცილებელი ღონისძიებები, რათა წარმოებული ღვინის რეპუტაცია შიდა ბაზარზე იმ დონემდე მივიდეს, როგორც ეს საექსპორტო ღვინის შემთხვევაშია.

დავითაშვილი საუბრისას ასევე შეეხო იმ ფაქტს, რომ საქართველოდან ექსპორტირებული ქართული ღვინოები მკაცრად კონტროლდება, რამაც ქართულ ღვინოს ძალიან მაღალი რეპუტაცია შეუქმნა.

“საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის ყველა პარტია აუცილებლად გადის სერტიფიცირებას და მკაცრად კონტროლდება. შესაბამისად, საქართველოდან ექსპორტზე გასული ქართული ღვინოები შემოწმების უმკაცრეს სისტემას გადის. საქართველოში არსებული ხარისხის კონტროლის სისტემა ალბათ ყველაზე მკაცრია ევროპულ თუ წარმატებული ახალი სამყაროს ქვეყნებთან შედარებით. შესაბამისად, ამანაც შეუქმნა ქართულ ღვინოს ძალიან მაღალი რეპუტაცია. სურსათის ეროვნული სააგენტო აქტიური იქნება და ღვინის ხარისხთან დაკავშირებით უკომპრომისები ვიქნებით. ამ მიზნით შემოწმებები კვლავაც გაგრძელდება. საქართველოში უხარისხო ღვინის რეალიზაციის ფაქტები უნდა გამოირიცხოს”, – დასძინა დავითაშვილმა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ზუგდიდის ერთ-ერთ მარკეტში ფალსიფიცირებული ღვინის რეალიზაციის ფაქტი გამოავლინეს. სააგენტოს ინფორმაციით, წითელი ნახევრადტკბილი ღვინო “ქინძმარაული” (0,75 ლიტრიან მინის ტარაში, ჩამოსხმის თარიღი 20.05.2015) გამოსაკვლევად შპს “ღვინის ლაბორატორიას” გადააგზავნეს. აღნიშნული სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა მოიკვლიეს და დაადგინეს, რომ აღნიშნული ღვინო ი.მ “შალვა საპანაძის” მიერ არის წარმოებული

ყურძნის ფასი ცნობილია

(პირველი გვერდიდან)

ოფიციალური მონაცემებით, 2015 წლის იანვარ — ივლისში საქართველოდან მსოფლიოს 35 ქვეყანაში ექსპორტირებულია 16 810 187 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 46%—ით ნაკლებია 2014 წლის 7 თვის მონაცემებთან შედარებით. ღვინის ექსპორტის კლება ორ უმსხვილეს ბაზარზე, რუსეთსა და უკრაინაში შემცირებულ გაყიდვებს უკავშირდება. რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტი 59%—ით დაეცა, უკრაინაში 62%—ით.

ღვინის ეროვნული სააგენტოს დირექტორი გიორგი სამანიშვილი, რომელიც კახეთში რთველის საკოორდინაციო შტაბს ხელმძღვანელობს, ამბობს, რომ ექსპორტის მნიშვნელოვნად შემცირების გამო ყურძენზე მოთხოვნა დაბალია, რის გამოც ერთ კილოგრამ რქაწითელში 70 თეთრი კარგი ფასია.

„რაც კომპანიების წარმომადგენლებმა გითხრეს, საკმაოდ ოპტიმისტურია. 70 თეთრი კარგი ფასია. მე უფრო სკეპტიკურად ვუყურებდი“, — აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს წინასწარი მონაცემებით, წელს კახეთში 200 ათას ტონამდე ყურძენია მოსალოდნელი. აქედან 140 839 ტონა რქაწითელია, 52 417 – საფერავი, 2 839 – კახური მწვანე. ყურძნის ყველაზე მეტი მოსავალი 48 160 ტონა გურჯაანის რაიონშია მოსალოდნელი, 43 300 ტონა ყვარელში, 35 005 ტონა თელავში, 26 105 ტონა სიღნაღში, 20 000 ტონა საგარეჯოში, 12 800 ტონა ლაგოდეხში, 10 002 ტონა ახმეტაში, 5 625 ტონა დედოფლისწყაროში. 20 აგვისტოს მოსული ძლიერი სეტყვის შედეგად, ყვარლის რაიონში დაახლოებით 10 ათას ტონამდე ყურძენი განადგურდა.

სააგენტო ღვინის ქარხნებში 120—130 ათასი ტონა ყურძნის გადამუშავებას ვარაუდობს.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ყურძენი ჩაუბარებელი დარჩა, შესაძლოა, სახელმწიფო ჩაერიოს და ჩაიბაროს.

ჩვენ ვკითხეთ გიორგი სამანიშვილს, სად და რამდენად ჩაიბარებს ყურძენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმო „გრუზვინპრომი“. მისი განმარტებით, ღვინის ქარხნებთან ხელშეკრულებების გაფორმება ახლა მიმდინარეობს, თუმცა „გრუზვინპრომი“ ფასთან მიმართებაში არ შევა კერძო საწარმოებთან კონკურენციაში. „ანუ, არ გადავიხდით იმაზე მეტს, ვიდრე კერძო საწარმოები გადაიხდიან“, — განაცხადა გიორგი სამანიშვილმა.

რაც შეეხება ჰიბრიდული ჯიშის ყურძენს, რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსის თქმით, ჰიბრიდული ჯიშის ყურძენზე არც სუბსიდია გაიცემა და სახელმწიფო არც მის დაბინავებაში ჩაერევა.

„მთავარი საქმისადმი სიყვარული და შრომაა"..

- „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის სრულუფლებიანი სტუდენტი ვარ 100%-იანი გრანტით..." - ეს სტრიქონები მეორე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა სოფიო მენთეშაშვილმა თავის ფეისბუქის გვერდზე ზუსტად 26 აგვისტოს დღის 13 საათსა და 15 წუთზე დაპოსტა. მსგავსი პოსტები იმ დღით უამრავი აბიტურიენტის გვერდზე გაჩნდა, იყო მილოცვები, კომენტარები და მადლობები, მაგრამ პირველი მერცხალი მაინც სოფიო იყო და ჩვენც არჩევანი სწორედ მასზე შევაჩერეთ. სოფიო ძალიან მოწესრიგებული, ზრდილობიანი, ნაკითხი, განათლებული ახალგაზრდაა. სკოლის წლებიდანვე ჰქონდა უამრავი წარმატება, მონაწილეობდა სასწავლო-შემოქმედებით კონკურსებსა თუ ტურებში, კონფერენციებში, ამ მიზეზით სოფიო ჩვენი გაზეთის სტუმარი არაერთხელ ყოფილა, ჩვენ გამუდმებით მის წარმატებებზე ვწერდით. 2012 წელს იგი განათლების სამინისტროს პროგრამით ორი კვირით ინგლისში, კერძოდ ბაქსვუდის საზაფხულო სკოლაში, ქალაქ ჰასტინგში გახლდათ, სადაც ის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმატებულ მოსწავლეებთან ერთად საზაფხულო სწავლებას გადიოდა. და აი, ახლაც, მის კიდევ ერთ დიდ წარმატებაზე უნდა მოგიყვეთ. სოფიო მენთეშაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა 100%-იანი დაფინანსებით. გთავაზობთ სოფიოსთან შემდგარ ინტერვიუს.

-სოფიო, პირველ რიგში გილოცავ სტუდენტობას და 100 %-იან დაფინანსების მიღებას.

-გმადლობთ.

- გაქვს რაიმე განსაკუთრებული გეგმა, რას ფიქრობ მომავალზე, ?

-თქვენ წარმოიდგინეთ, მომავალზე ბევრს არ ვფიქრობ. მთავარია აქ და ახლა ვაკეთო ის, რაც მავალია და რაც შეშიძლია, დანარჩენი თვითონ გამოჩნდება. რა თქმა უნდა, მაქვს მიზანი, მაგრამ არა შორეულ მომავალში. მაგალითად, ამჯერად ჩემი მიზანი უნივერსიტეტში წარმატებულად ჩარიცხვა იყო და ეს განხორციელდა.

-დღეს უკვე იშვიათად მსმენია, რომ ქართული ენის ფილოლოგიას ირჩევს აბიტურიენტი, სიმართლე გითხრა, გამიკვირდა, როცა გავიგე და, ამავდროულად, გამიხარდა, მაინტერესებს რამ განაპირობა პედაგოგობის არჩევა?

-რატომ ავირჩიე ფილოლოგია? დავიწყოთ იმით, რომ ძალიან მიყვარს ქართული ენა და ლიტერატურა. ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს ქართულის მასწავლებელს, ეთერ ალადაშვილს, რომელმაც აბსოლუტურად სხვა თვალით დამანახა ყველა საკითხი. ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მივიღე. რჩევის დონეზეც კი არავის მოუწოდებია ჩემთვის ეს იდეა. უბრალოდ მიზიდავს სირთულეები და სწორედ იქ მინდა ვიყო წარმატებული, სადაც ჰგონიათ, რომ შეუძლებელია. ნურავინ იტყვის, რომ ეს პროფესია უპერსპექტივოა და აქ არაფერი გამომივა. მთავარი საქმისადმი სიყვარული და შრომაა. შედეგი კი თავისთავად იქნება, მე ამის მჯერა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ჩავაბარებდი ამ ფაკულტეტზე. რომ გითხრათ, პედაგოგობაზე ვოცნებობ-მეთქი,, მოგატყუებთ. ალბათ უფრო რაიმე სხვა მიმართულებას ავირჩევ და ჩემთვის ჩავუჯდები საქმეს, ასე მირჩევია. ლინგვისტიკა კარგი იქნებოდა, ვნახოთ რა იქნება მომავალში.

-სოფიო, თვლი, რომ საქართველოში მიღებული ცოდნა საკმარისია ახალგაზრდის რეალიზაციისთვის, თუ აპირებ საზღვარგარეთ სწავლას?

-სადაც უფრო მეტი შანსია შენს სფეროში თვითრეალიზაციის, ალბათ იქ უნდა მიიღო განათლება, მაგრამ ვთვლი, რომ საქართველოშიც შესაძლებელია ნორმალური განათლების მიღება და პროფესიონალად ჩამოყალიბება. ყველა შემთხვევაში მგონია, რომ შენი ცოდნა შენს ქვეყანაში უნდა გამოიყენო, თუნდაც ეს ნაკლებ შემოსავალთან იყოს დაკავშირებული.

-რომელია შენი საყვარელი საკითხავი წიგნი, რა ჟანრის ნაწარმოებები გიყვარს?

-ზოგადად კითხვა ბავშვობიდან ძალიან მიყვარს. თავისუფალ დროს ძირითადად ვკითხულობ. მიყვარს როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურა, მაგრამ როგორც ქართველი ალბათ უპირატესობას მაინც ჩვენსას მივანიჭებ. მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებს მოვიშველიებ: „ქართული კალამი ორეულია გოლგოთის ჯვრისა, ხოლო მისი პატრონი ყოველთვის ჰგავდა იმ მთაზე აღმავალ მაცხოვარს". პირველი ქართული წიგნი, რომელმაც შემაყვარა მშობლიური ყველაფერი, იყო ლევან გოთუას "გმირთა ვარამი". მახსოვს, მისი წაკითხვის შემდეგ მოგვრილი გრძნობები. საოცრება იყო. კიდევ გამოვყოფდი თანამედროვეობის კლასიკოსს, ბატონ გურამ დოჩანაშვილს და მის წიგნს სიყვარულისას "სამოსელი პირველი". არ შემიძლია, არ აღვნიშნო გოდერძი ჩოხელი, მისი პროზა და პოეზია. უცხოური კლასიკოსებიდან მიყვარს დოსტოევსკი და მისი "ძმები კარამაზოვები". ეს წიგნი ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. მომწონს დოსტოევსკის ფსიქოლოგიური წვდომა ადამიანის სულის სიღრმეებში. ვფიქრობ, იგი დიდი ფსიქოლოგია. მომწონს ჰერმან ჰესეს "ტრამალის მგელი". დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შტეფან ცვაიგის რომანმა "მოუთმენლობა გულისა". აქტუალური და საინტერესოა ჯორჯ ორუელის "1984". ბევრი წიგნი მახსენდება კიდევ, მაგრამ მგონი საკმარისია.

-გოეთე ამბობდა,-„ ხელოვნება გამოუთქმელის შუამავალიაო," შენი აზრით, რა კვალს ტოვებს ლიტერატურა იმ საზოგადოებისთვის, რომელიც მომავალში იცხოვრებს ამქვეყნად?

- ლიტერატურის როლი იმთავითვე უდიდესი იყო საზოგადოების ცნობიერებაზე. მით უმეტეს, თუკი ადამიანი ბავშვობიდანვე „დასნეულდება" წიგნების სუნით, მას ახალი კარი გაეხსნება სრულიად ახალი სამყაროსკენ, ჩემს პირად შემთხვევაზე გეტყვით. უდიდესი განცდები მომგვარა რიჩარდ ბახის "თოლია ჯონათან ლივინგსტონმა". ეს წიგნი თავისუფლების მოყვარულ თოლიაზეა, რომელიც მრავალი წინააღმდეგობისდა მიუხედავად, მაინც სწავლობს ფრენას. ჩემს ცნობიერებაზე თოლიას პერსონაჟმა ყველაზე დიდი კვალი დატოვა. საოცარი ემოციებით ამავსო და მასთან ერთად მეც გამიჩნდა ფრენის სურვილი. ლიტერატურა ჩვენი თვალთახედვის არეს აფართოებს, გვზრდის სულიერად.

-როგორ ფიქრობ, როგორ გარემოშიც არ უნდა იზრდებოდეს ახალგაზრდა, სწორად შერჩეული ლიტერატურის კითხვა კეთილშობილ და ზრდილ ადამიანად აყალიბებს მას?

-მიმაჩნია, რომ აუცილებელია ბავშვს გემოვნება ყრმობიდანვე ჩამოვუყალიბოთ. ასეთ შემთხვევაში იგი ნამდვილად სარგებელს მოუტანს ადამიანის სულს. დღეს იმდენი წიგნი გამოდის, ყველა მათგანი რომ წავიკითხოთ, ალბათ გავგიჟდებით. არ უნდა დავანაგვიანოთ ადამიანის სული უსარგებლო ლიტერატურით. რა თქმა უნდა, მხოლოდ ლიტერატურა არ კმარა მოზარდის კეთილშობილ ადამიანად ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ნამდვილად უდიდეს როლს თამაშობს ამ საქმეში. მთავარი მაინც პირადი მაგალითია.

-სოფი, მინდა შენს სკოლაზე და შენს პედაგოგებზე თქვა ორიოდ სიტყვა.

-მე-8 კლასის ბოლოს გადავწყვიტე მეორე სკოლაში გამეგრძელებინა სწავლა და დღემდე არ ვნანობ ჩემს გადაწყვეტილებას. მიუხედავად იმისა, რომ პირველ სკოლასთან ბევრი ძვირფასი წელი და ადამიანი მაკავშირებს, მეორე სკოლაში გატარებულმა ოთხმა წელმა, შეიძლება ითქვას, ჩემი ცხოვრება შეცვალა. პირველ რიგში, რაც მინდა აუცილებლად აღვნიშნო არის ის გარემო, რაც ამ სკოლაში დამხვდა- საოცრად თბილი, მოსიყვარულე და ოჯახური. ერთ მუშტად შეკრული მასწავლებლები და ბავშვები საოცარ ერთობას ვქმნიდით სკოლაში. რა თქმა უნდა, გარემოს გარდა, სწავლების ხარისხი უმნიშვნელოვანესია. მეორე სკოლამ შეუძლია თამამად თქვას, რომ მასში ბევრი პროფესიონალი კადრი მუშაობს, უდიდეს მადლობას ვუხდი აბსოლუტურად ყველა პედაგოგს, ვისთანაც შეხება მქონია. ტკბილად მახსენდება მათთან გატარებული თითოეული დღე. ალბათ არ ეწყინება არავის, თუკი ჩემს საყვარელ საგნებს გამოვყოფ და შესაბამისად ამ საგნების მასწავლებლებს. პირველ რიგში, დავიწყებ კლასის დამრიგებლით, ქალბატონი რუსუდან კორკოტაშვილით, რომელიც საოცარი ადამიანია. იგი ყოველთვის ქმნიდა კლასში თბილ გარემოს, იყო საუკეთესო დამრიგებელი. ამისთვის უდიდესი მადლობა მას. ია ლაპიაშვილი, - ეს ადამიანი საოცრებაა, რომელიც შეგაყვარებთ სამყაროს, ღიმილს, სიხარულს. ადამიანი სიყვარული, ადამიანი პოზიტივი, ადამიანი განწყობა, არ ვიცი კიდევ რა სიტყვებით შემიძლია მოვიხსენიო, ჩემი საყვარელი, ია მას... მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ვისწავლე, რომ ამ სამყაროში მთავარი სიკეთე და სიყვარულია. შემდეგი საგანი ინგლისური და, რა თქმა უნდა, პედაგოგი მარინა შანშიაშვილია. იგი თავისი საქმის პროფესიონალი და ამავდროულად საუკეთესო ადამიანია. პედაგოგებად ალბათ იბადებიან და როდესაც მარინა მასწავლებელს ვუყურებ, ვერ წარმომიდგენია, რომ ის შეიძლება სხვა პროფესიისა ყოფილიყო. გაფასებთ და მიყვარხართ, მარინა მასწ! ჩემთვის უსაყვარლესი საგანი და ადამიანი ბოლოს შემოვიტოვე. ქართული ენა და ლიტერატურა და ჩემი ეთერი მასწავლებელი. არ ვიცი რა ვთქვა, რით დავიწყო, რით დავასრულო. სიტყვები არ მყოფნის ამ ხალხზე საუბრისას. ეს არის უშრეტი ენერგიის წყარო, სულით მოწოდებული თავისი საქმიანობისთვის, უზომო სიყვარულით რომაა სავსე და ამ სიყვარულს ყველა ბავშვს უნაწილებს. ეს არის ადამიანი, რომელმაც მასწავლა, რა არის აზროვნება, კრიტიკა, შეფასება, ანალიზი... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გამიჩინა სურვილი, მისი პროფესია ამერჩია მომავლისთვის და ალბათ ეს ყველაზე დიდი მონაპოვარია. უკან რომ დამაბრუნონ, ალბათ ისევ სიამოვნებით გავივლიდი გზას თქვენთან ერთად, ჩემო ტკბილო მასწავლებლებო... მიხარია, რომ დედოფლისწყაროს ჰყავს ასეთი მაღალი სულიერი და ინტელექტუალური დონის პედაგოგები. ვამაყობ თქვენით!

-ხარ თუ არა შეყვარებული და როგორ უყურებ, როგორც თანამედროვე ახალგაზრდა გოგო ამ საკითხს, რა არის სიყვარული შენთვის?

- შეყვარებული არ ვარ ნამდვილად, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს უდიდესი ბედნიერება და სიხარულია. ალბათ ბევრი ვერც ხვდება, თუ რამხელა საჩუქარია, როცა ადამიანს აქვს უნარი, შეიყვაროს მეორე ადამიანი და მისთვის თავგანწირვამდე მივიდეს. სიყვარული სრული თავგანწირვაა, სრული მზადყოფნა, მოკვდე სხვისთვის. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ალბათ მაინც ვერ ვიტყვით რაიმე განსაკუთრებულს ამ გრძნობის შესახებ. აქ სხვა არაფერია საჭირო, გარდა წრფელი გულისა და შეგრძნებისა. სიტყვებით ამის გადმოცემა არასწორია. ერთადერთი ვიცი მხოლოდ "დედამიწას სიყვარული ატრიალებს".

- ვისთან ერთად სვამ ფინჯან ყავას და ვინ არის შენი ყველაზე დიდი მეგობარი, ვის ანდობ შენს ყველაზე გულწრფელ ფიქრებს?

- იყო კარგი მეგობარი, ესეც, სხვა ნიჭებთან ერთად, უდიდესი ნიჭია. მე ნამდვილად არ ვარ კარგი მეგობარი და ამას მოჩვენებითი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ. მყავს ადამიანები (თითზე ჩამოსათვლელი), ვისთან ერთადაც სიამოვნებით ვსვამ ფინჯან ყავას და ვსაუბრობ დაუსრულებლად. ვფიქრობ, მეგობრობაში (და ყველა ურთიერთობაში) მთავარი ერთმანეთის ისეთებად მიღებაა, როგორებიც სინამდვილეში ვართ. მეგობრებთან მაინც არ უნდა გვჭირდებოდეს ნიღბები. მთავარი სიყვარულია ყველგან და ყველაფერში. მეგობრობის მასაზრდოებელი წყაროც, სწორედ სიყვარულია და სხვა არაფერი.

-სად ჩერდება შენი აღმასვლის მწვერვალი?

-ადამიანში ყველაზე მთავარი ისაა, ვითარდება თუ არა იგი სულიერად. ყოველი დღე უნდა იყოს ახალი ფურცელი ჩვენი სულიერი ზრდისა. ეს აუცილებელია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ადამიანის შესაძლებლობები შეუზღუდავია, ჩვენ კიდევ ბოლომდე არ ვიცით, თუ რა შეუძლია მოკვდავ ადამიანს. მთავარი, რაც ღმერთმა ადამიანს უანდერძა, ეს მის ნიშნულამდე ასვლაა, ანუ ღმერთამდე ასვლა. მაშ, როგორ შეიძლება ვიკითხოთ, თუ სად გადის ჩვენი შესაძლებლობების ზღვარი? ალბათ ზეცაში. "ზეცა არც ადგილია, არც დრო, ზეცა სრულყოფილების დაუფლებაა!"

-ვის უხდი ყველაზე დიდ მადლობას, იმისთვის, რომ ასეთი ნიჭიერი ხარ, დედას, მამას თუ განგებას?

-მადლობას ვუხდი ღმერთს ყველაფრისათვის, რაც გამაჩნია. ბევრჯერ დამიშვია შეცდომები ცხოვრებაში, რასაც ვისურვებდი, რომ არ დამეშვა. ნიჭი რომ გაქვს, იმას გაფრთხილება უნდა. არავის ეგონოს, რომ ყველაფერი მისი დამსახურებაა და რაც გააჩნია, სამუდამოდ ექნება. ეს ტყუილია. დავაფასოთ ის, რაც გვაქვს.

-წარმეტებები მინდა გისურვო სოფიო, წინ დიდი გამოწვევა გელის. გვჯერა, არაერთხელ გვასახელებ და ისეთი დიდი მომავალი გექნება, რომ ვიამაყებთ შენით. ბედნიერი სტუდენტობა შენ და ყველა შენს თანამედროვეს.

-გმადლობთ, მეც ვფიქრობ, რომ წინ საინტერესო წლები მელის.

ლალი მეხრიშვილი

ვინ აღადგენს გადამწვარ შირაქს?

ვინ აღადგენს მასშტაბური ხანძრებით გადამწვარ შირაქის ველებს და რა შედეგებს მოიტანს ქარსაცავი ზოლების სრული განადგურება. რა პოზიცია აქვს კომპანია „საქართველოს ნერგებს“ რომელიც შირაქში ახლადგაშენებული ნერგების მოვლა პატრონობას ახორციელებს. როგორია მათი შეფასებები ხანძრის შემდეგ და გააგრძელებენ თუ არა საქმიანობას დედოფლისწყაროში... აქვს თუ არა აზრი, სრულად განადგურებული პროექტის გაგრძელებას და ხომ არ შეჩერდება ქარსაფარი ზოლების აღდგენის პროცესი. ამის შესახებ გაზეთი „შირაქი“ კომპანია „საქართველოს ნერგების“ წარმომადგენელს ესაუბრა.

ვიქტორია ბელელაძე: „გასული წლის ნოემბერში უშუალო მონაწილეობა მივიღეთ GIZ-ის პროექტში. ვინაიდან ჩვენი კომპანია მანამდეც ამ საქმიანობით იყო დაკავებული, ჩვენი საქმიანობის სფეროა და ბუნებრივია დედოფლისწყაროში სიხარულით დავიწყეთ მუშაობა. რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს მიერ უკვე განხორციელებულ სამუშაოებს, 2 000 მეტრი სიგრძის სამი ზოლი გავაშენეთ, შირაქის ველზე სულ რვა სახეობის მცენარე დაირგო. პრიორიტეტი ჩვენ მივანიჭეთ და ჯიშები თავად შევარჩიეთ. ჩვენმა სპეციალისტებმაც იმუშავეს, კლიმატის და გარემო პირობების მიხედვით ისეთი სახეობები შევარჩიეთ, რომელიც მაქსიმალურად მოერგებოდა დედოფლისწყაროს ჰავას. დამკვეთის სურვეულიც ასეთი იყო, რომ სახეობები ჩვენს კომპანიას შეერჩია.

გასული წლის ნოემბერში დავრგეთ ელდარის ნუში, ფიჭვი, მარადმწვანეებიდან კვიპაროსი ჰორიზონტალური ფორმით, ვერხვი, აკაცია. შირაქის ველზე სულ 2070 ნერგი დაირგო. მოთხოვნებში მითითებული იყო, რომ 60-80 სმ სიმაღლის ორ-სამწლიანი ნერგი უნდა შეგვერჩია. შედეგი გვაქვს საოცარი – ახლადდარგული მცენარეების 97%-ზე მეტმა იხარა და ზრდა განაგრძო. სპეციალისტები გაკვირვებული იყვნენ, რომ ხმობა თითქმის არ ფიქსირდებოდა. მიუხედავად ცხელი ზაფხულისა, ნერგებმა კარგად იხარეს.

– როგორია თქვენი კომპანიის შეფასება მომხდარზე და რა ნაბიჯები გადაიდგა თქვენს მიერ?

– მართლაც სამწუხარო ფაქტი მოხდა, ვითარება ძალიან შემაშფოთებელია. ჩვენი ხელმძღვანელობა დაუყოვნებლივ ადგილზე ჩავიდა და ხანძრის შემდეგ არსებული ვითარება დაათვალიერა. ვსწავლობთ ზარალს, რომელიც მიადგა როგორც ჩვენს კომპანიას, ისე დამკვეთს. განცხადებაც შევიტანეთ დედოფლისწყაროს პოლიციის რაიონულ სამმართველოში, რათა მოხდეს მომხდარის გამოძიება. ვფიქრობთ, დანარჩენი გამოძიების პრეროგატივაა. ფაქტია, ადამიანების დაუდევრობით მოხდა, მეტი სიფრთხილე იყო საჭირო და შესაბამისი ზომების მიღებისას მეტი აქტიურობა, რომ ცეცხლი ამხელა ფართობებზე არ გავრცელებულიყო. მითუფრო, ვიცით, რომ დედოფლისწყარო გაუდაბნოების საფრთხის წინაშეა. ყველაზე გვალვიანი და ქარისმიერი ზონებია, ეროზია ყველაზე მეტად დედოფლისწყაროში შეინიშნება და უცხოელი დონორების მხრიდან სწორედ ამიტომ შეირჩა ეს ტერიტორია, რომ ყველაზე რთული ვითარება აქ გვაქვს. სამწუხაროა, რომ ამხელა ფართობი განადგურდა უცხო ქვეყნების მხრიდან დახმარების ხელის გამოწვდის და თანხების ხარჯვის შემდეგ.

– მეცხრე წელია, დედოფლისწყაროში ქარსაცავი ზოლების აღდგენას ცდილობენ, თუმცა ხშირ შემთხვევაში ნერგები ხმებოდა, თქვენმა კომპანიამ რა მიდგომა შეიმუშავა იმისათვის, რომ ამჯერად პროექტი წარმატებული ყოფილიყო?

– თავიდანვე, როცა ნერგების გაშენებისთვის ზონები დაიყო, ჩვენმა კომპანიამ დარგვისას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმები მაქსიმალურად დაიცვა. მთლიან ტერიტორიაზე, ორივე მხრიდან ხანძრის საწინააღმდეგო თხრილები გავაკეთეთ. რადგან გვალვიანი ტერიტორიაა, ნაკვეთების გადაწვის შემთხვევებიც ხშირია, აუცილებლად ჩავდეთ ხანძრისგან დამცავი ბერკეტი. ყველაზე სამწუხარო ის გახლავთ, რომ, როდესაც თხრილები გავაკეთეთ, ერთ ადგილში, სადაც ჩვენს სამოქმედო ტერიტორიას პრივატიზებული მიწის ნაკვეთი ესაზღვრებოდა, კერძო მეპატრონემ უფლება არ დაგვრთო, თხრილი იქაც გაგვეკეთებინა. მინდა გითხრათ, რომ ხანძრის დროს, ჩვენს ნერგებთან ცეცხლი სწორედ ამ მონაკვეთიდან შემოვიდა. საშუალოდ 500 ნერგია განადგურებული, რომელიც უშუალოდ ჩვენი კომპანიის მეთვალყურეობის ქვეშ არის. დანარჩენი ზონები, სადაც დაცვა გავაკეთეთ, ისინი სრულად გადარჩენილია. უშუალოდ ჩვენი ზარალი ასეთია, 2000-ზე მეტი ნერგიდან დამწვარია 500-მდე. მოხარულები ვართ, რომ უმრავლესობა გადარჩა. ამავე ადგილებში რამდენიმე სხვა კომპანიაც ახორციელებს ახლადდარგული ნერგების მოვლა-პატრონობას, თუმცა მათთან უფრო რთული ვითარება შეიქმნა და ისინი გაცილებით უფრო მეტად დაზარალდნენ.

– ხანძრის გარეშე რა სამუშაოები იგეგმებოდა შირაქში და რა ვალდებულებები გაქვთ მოქმედი ხელშეკრულების მიხედვით?

– ჩვენს მიერ დედოფლისწყაროში ჩატარებული სამუშაოები მხოლოდ ნერგების დარგვით არ შემოიფარგლებოდა, მათზე მზრუნველობას ერთი წლის განმავლობაში კვლავ ვახორციელებთ. დედოფლისწყაროში გვყავს ჩვენი წარმომადგენელი ზვიად თეთრაული, რომელიც ინტენსიურად დადის ადგილზე და ნერგებს მეთვალყურეობს. პერიოდულად თბილისიდანაც ჩადის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც შესაბამის პროცედურებს ატარებს. ძალიან ხშირად ვახდენთ მცენარეების მორწყვას. ძალიან გულმოდგინედ ვუვლიდით და ამდენად ჩვენთვის უფრო მტკივნეული იყო ეს ხანძარი. როდესაც ამხელა შრომა, ენერგია და ფინანსებია ჩადებული, რთულია უყურო, როგორ განადგურდა ერთ დღეში.

– გარემოს დაცვის მინისტრმაც აღნიშნა, რომ პროექტი თითქმის სრულად განადგურდა. რადგან ზარალი დიდია, ხომ არ არის პროექტის შეჩერების საფრთხე, რა გსმენიათ დონორებისგან?...

–ივნისის თვეში ჩვენს კომპანიას გერმანელი და შვედი ექსპერტების მონიტორინგის ჯგუფი ეწვია, რომელთაც შიქარში მიმდინარე ეს სამუშაოები მოინახულეს და მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდი კმაყოფილება გამოხატეს. პირდაპირ აღნიშნეს, რომ ასეთ შედეგს არ ელოდნენ. მაშინვე მოხდა შეთანხმება, რომ შემოდგომაზე, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის სექტემბრიდან, ეს თანამშრომლობა კიდევ გაგრძელდებოდა და ახალ ფართობებზეც დამატებით კიდევ გავაშენებდით ნერგებს. თუმცა, ამჯერად შექმნილ ვითარებაში, ამ ხანძრების შემდეგ, რამდენად შეიცვლება შეთანხმება, ან პირობა ისევ ძალაშია თუ არა, ამის თქმა ამ ეტაპზე არ შემიძლია. ალბათ მომავალი გვიჩვენებს, გერმანულ მხარეს ექნება თუ არა სურვილი, შემოდგომაზე ისევ გააგრძელოს ახალ ტერიტორიებზე ზოლების გაშენება.

დედოფლისწყარო რისკის ჯგუფშია და ფაქტიურად გადარჩენის ერთერთი გზა ესაა ქარსაფარი ზოლების გაშენება. თუკი ფინანსური სახსრები გამოგვიჩნდება, ჩვენი კომპანია მზადაა, საკუთარი ენთუზიაზმით მოახდინოს განადგურებული ნერგების გამოცვლა. ნებისმიერ დახმარებას მივიღებთ, ფინანსურს, თუ უშუალოდ ნერგებს, როგორც სახელმწიფოსგან, ისე კერძო პირებისგან და დაინტერესებული მოქალაქეებისგან. ჩვენ მზაობას გამოვხატავთ, რომ მზად ვართ დაზიანებულ ტერიტორიაზე ზარალი აღმოიფხვრას და ტერიტორია კვლავ განაშენიანდეს. თუმცა, მომხდარი ჩვენი კომპანიის პასუხისმგებლობა არ გახლავთ. კეთილი ნების გამოხატვაა ის, რომ როგორც კი ამის საშუალება გვექნება, აქტიურად ჩავერთობით პროცესში, ალბათ უკვე შემოდგომიდან.

– ამ დრომდე გამხმარი ნერგების გამოცვლას რა პრინციპით ახდენდით?

– საბედნიეროდ, დღემდე მცენარეთა ხმობის შემთხვევები არ გვქონია და ნერგების ჩანაცვლების საკითხი არ დამდგარა. დარგვისას, ბამბუკის სარები დაუმაგრდა თითეულ ნერგს, მავთულხლართები შემოეხვა, ასევე ნერგების ძირში ისრაელის წარმოების დამცავი მექანიზმი დაეგო, რომელიც წყლის შემკრების ფუნქციას ასრულებს და ნიადაგს გამოშრობისგან იცავს. ასევე სპობს სარეველა მცენარეებს. ანუ, მაქსიმალურად გამოვიყენეთ დამცავი ბერკეტები იმისათვის, რომ საუკეთესო შედეგი მიგვეღო. როგორც ჩანს, ჩვენს მიერ გატარებული ღონისძიებები გარკვეულწილად ეფექტური აღმოჩნდა.

– ანუ, თქვენმა კომპანიამ არ იცის დამკვეთის გეგმები, გაგრძელდება თუ არა თანამშრომლობა და რა იგეგმება ზარალის აღმოსაფხვრელად?

– ამ ეტაპზე ზუსტი პასუხის გაცემა რთულია. პროექტი დამკვეთების მიერ ხორციელდება. რა თქმა უნდა, როდესაც 66 კილომეტრიანი ზოლი მთლიანად ხანძრის შედეგად ნადგურდება, ეს დონორებისთვის გარკვეულწილად იმედგაცრუების საგანი არის და რთულია, როცა ამდენი შრომა და ფინანსები ერთბაშად ნადგურდება. მაგრამ, ჩვენი ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ ეს პროექტი კვლავ გაგრძელდება და მომავალშიც აქტიურად ვითანამშრომლებთ. სხვაგვარად, დედოფლისწყაროს გაუდაბნოება ემუქრება და პროცესის შენელება წარმოუდგენელია. გლობალური დათბობის ნიშნები ყველაზე მეტად ამ რაიონში ჩანს, ამიტომაც ამ პროექტს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ავსტრიის განვითარების სააგენტოს და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების საჩუქარია. მათ მიერ გამოყოფილი თანხა არ არის სესხი, ეს მათი საჩუქარია.

ამ ნერგების მოვლა და გადარჩენა თითოეული ჩვენგანის მოვალეობა და ვალდებულებაა ჩვენი ქვეყნის წინაშე. აუცილებელია ერთად მოვუფრთხილდეთ მას. კლიმატს და ბუნებრივ პირობებს ყველა ადამიანი უნდა გაუფრთხილდეს. დედოფლისწყაროს მოსახლეობამ მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ამ ნარგავების მიმართ. გაუდაბნოების პრობლემა თითოეულმა მათგანმა გულთან ახლოს უნდა მიიტანოს, რომ ვითარების გაუმჯობესება მოხერხდეს. პირველ რიგში ეს ადგილობრივებმა უნდა გააკეთონ, რადგან ერთობლივი ძალებით როგორმე გადავარჩინოთ ეს რაიონი.

– თქვენს კომპანიას თუ ჰქონდა სამუშაო შეხვედრა, ან კომუნიკაცია GIZ-თან, მიყენებული ზარალის შესახებ?

– რა თქმა უნდა, ჩვენი კომპანიის ხელმძღვანელი გიორგი აბრამიშვილი მაშინვე დაუკავშირდა გერმანულ მხარეს. GIZ-ის ხელმძღვანელებთან შედგა სატელეფონო საუბარი, ისინი რა თქმა უნდა, ზოგადად საქმის ვითარებას იცნობდნენ. თუმცა, ჩვენ მივაწოდეთ დეტალური ინფორმაცია, უშუალოდ ჩვენს ზოლში რა მდგომარეობა გვაქვს. რა თქმა უნდა, გამოხატეს შეშფოთება, თუმცა აღინიშნა, რომ ჩვენი კომპანიის ნერგების უმრავლესობა გადარჩენილია. ჯერ-ჯერობით პროექტის შეჩერებაზე საუბარი არ ყოფილა. პირიქით, დონორებთან ბოლო შეხვედრისას განაშენიანების ახალი პროექტი იგეგმებოდა. კომპანია „საქართველოს ნერგებს“ დიდი იმედი აქვს, რომ მომავალ თვეებში ხელახალი პროექტები დაიწყება დედოფლისწყაროში.

ილია მარტყოფლიშვილი

მზეთმზესუმზირასაც ავნო

წლევანდელმა გვალვამ ბევრი პრობლემა შეუქმნა მიწათმოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ მზესუმზირას მზე უყვარს, მაღალმა ტემპერატურამ მასაც ავნო. გვალვის შედეგებზე ღიად საუბროებენ გლეხები, რომლებიც წელს მზესუმზირის მოსავლის გარეშე დარჩნენ.

დედოფლისწყაროს სოფელ არხილოსკალოელი ფერმერი შოთა მნათობიშვილი ერთდროულად მისდევს მემარცვლეობას, მესაქონლეობასა და მევენახეობას. მოჰყავს ქერი, ხორბალი და მზესუმზირა. თუმცა ბოლო ორი წელიწადია, მზესუმზირის მოსავალი, გვალვის გამო, უფუჭდება და დიდ ზარალს ნახულობს.

შარშან აგვისტოში სწორედ ამ პრობლემაზე ვესაუბრე, მაშინ ამბობდა, რომ გვალვამ მოსავლის 90% გაუფუჭა, წლეულს კი მოსავალი, პრაქტიკულად, მთლიანად განადგურებულია...

- გვალვა არც წლეულს გვანებებს თავს. გაზაფხული კი იყო შედარებით წვიმიანი და ქერისა და ხორბლის კარგი მოსავალი მოვიდა.

იმის გამო, რომ მზესუმზირა გაზაფხულის მიწურულს ითესება და მერე წვიმა აღარ მოდის, გვალვა ანადგურებს. მოკლედ, წელს მოსავალი მთლიანად გაფუჭდა. ისიც პრობლემაა, რომ ფასებია ძალიან დაბალი.

- რას გულისხმობთ?

- როგორც კი მოსავალს ავიღებთ, მისი გასაყიდი ფასი თითქმის ნახევრდება (60-დან 35 თეთრზე ჩამოდის), ფერმერს კი ბანკის ვალი აქვს და იძულებულია, ამ პერიოდში პროდუქტი იაფად გაყიდოს. არადა, სოფლის მეურნეობა კრედიტის გარეშე რთული ასამუშავებელია. სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სამინისტრო, წესით, ფასებს უნდა აბალანსებდნენ, რომ მეურნემ კვლავწარმოება შეძლოს.

მთელი წელი ვალებით მოდიხარ, ელოდები მოსავლის აღებას, რომ გაყიდო, თანხა აიღო და ახლიდან დაიწყო შემდეგი წლისთვის მიწის დამუშავება. ახლა უნდა ვიწყებდეთ დამუშავებას, მაგრამ პროდუქტის დაბალი ფასების გამო ეს პროცესი ფერხდება.

- გაყიდვას რატომ აყოვნებთ, რას ელოდებით?

- ყველა გვიან გაყიდვას ცდილობს, იქნებ მეტი მოგება ვნახოო, თუმცა ამასობაში დრო გადის და ზარალდებიან, ხვნა გვიანდება. ოქტომბერში გასაკეთებელი საქმე ნოემბერ-დეკემბერში გადადის, რაც დაბალ მოსავლიანობას იწვევს.

- მოკლედ, მიწა ჯერ არ მოგიხნავთ?

- არა, რადგანაც მარცვლეულის გაყიდვა ჯერ ვერ მოვახერხეთ. ხორბალი ძალიან იაფია - 40 თეთრი ღირს. არადა, მარცვლეულის გარდა, ყველაფერი ძვირდება.

პრობლემები აქვთ მცირე ფერმერებსაც. დაახლოებით 3-5-ჰექტრიანი ნაკვეთები დარჩათ მოსახნავი. ლაპარაკია 500-1000-კომლიან სოფლებზე, ხალხმა მიწა უსახსრობის გამო ვერ დაამუშავა.

- მეორე წელია, მზესუმზირას მოსავალს ვერ იღებთ, ზარალი ზარალს ემატება. ასეთ ვითარებაში რა არის თქვენთვის სტიმული?

- მოგება ხშირად არ რჩება, მაგრამ როცა სოფელში ცხოვრობ, ხომ ვერ აიყრები? კაცი იმედით ცოცხლობს. ფერმერობას ასეთი რამ ახასიათებს: თუ ამ სფეროში ერთი ცხვირი შეყავი, სულ გინდა, რომ მიწასთან ახლოს იყო. 1 წელი თუ ჩაგივარდა, მეორე წელი მაინც გინდა, რომ კარგი მოსავალი მიიღო და მესამე წელს უვალოდ შეხვდე.

- მესაქონლეობასაც მისდევთ. ამ მიმართულებით როგორი ვითარებაა?

- ეს დარგი ყოველთვის წამგებიანი იყო, მით უმეტეს, ახლა, როცა გვალვაა და საქონლისთვის საკვები არ არის. ნატურალურ რძეს დაბალი გასაყიდი ფასი (1 ლიტრი - 50 თეთრი) აქვს. ხორცის ფასიც დავარდა. ჩასაბარებელი ფასი 11 ლარი იყო და 7 ლარზე ჩამოვიდა. ეს კი თვითღირებულებას ვერ ფარავს. ამიტომ ფერმერები წაგებაზე მუშაობენ და საქონლის გაყიდვას ცდილობენ. 1 ძლიერი ტრაქტორი 3 სოფელს ეყოფოდა და გლეხებისთვის დიდი დახმარება იქნებოდა.

- ანუ ტექნიკა პრობლემა იყო და კვლავაც რჩება?

- კი, თან ძვირია და ამას კიდევ ძვირი საწვავი და აგერ, გვალვაც ემატება. სწორედ ამ ყველაფერმა განაპირობა, რომ სოფლის მეურნეობა სულს ღაფავს.

- ისე, მემარცვლეობა-მესაქონლეობა-მევენახეობას ერთდროულად რომ მისდევთ, რამდენად ხელსაყრელია?

- დარგებს ხშირად ვიცვლით, რაც წამგებიანია, მაგრამ ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ იქნებ ერთერთმა მაინც გაამართლოს. არის მომენტები, როცა ყურძნის ფასი უეცრად ავარდება ხოლმე, მეორე წელს კი, პირიქით, დაბალია. თავი ხომ უნდა გადავირჩინოთ? თორემ ამ ყველაფრის ერთდროულად გაძღოლა ვის უნდა, მირჩევნია, ერთ რომელიმე დარგს მივხედო.

- მზესუმზირას გაისად ისევ დათესავთ?

- 2-3 წელია, სიტუაცია ძალიან გართულდა. შარშან მოსავალი 100 ჰექტარზე ისე გამიფუჭდა, რომ კომბაინი ვერ შევიყვანე. წლეულს უარესი მდგომარეობაა. ამიტომ ამ კულტურას აღარ დავთესავ, სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო. იმდენი მიწა გვაქვს, აქედან უცხოეთში სამუშაოდ არავინ უნდა მიდიოდეს. ბევრი რამის მოყვანა შეიძლება, თუნდაც ისეთი კულტურის, რასაც მაინცდამაინც წყალი არ სჭირდება, მაგალითად, ბროწეულის, კაკლის, ნუშის, თხილის... ადვილი გასაშენებელი კულტურებია, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს...

ფერმერები ამბობენ, რომ სოფლის მეურნეობის დასახმარებლად ახალმა ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ეს საკმარისი არაა. იდეები აქვთ, მაგრამ უსახსრობის გამო მათ განხორციელებას ვერ ახერხებენ, ახალი ვალების აღებისგან კი თავს იკავებენ.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

პატრიარქი - საქართველო ბედნიერია, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მისი მფარველია

საქართველო ბედნიერია, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მისი მფარველია, - ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დღეს სიონის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.

უწმინდესმა ტაძარში შეკრებილთ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული მიულოცა და ისურვა, რომ ღვთისმშობელმა შეისმინოს ჩვენი ლოცვები.

"ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დედა ცისა და დედამინის მფარველია, მაგრამ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია. იგი საქართველოს განსკუთრებული მფარველია. მხოლოდ ეს ფაქტი რომ ყოფილიყო, ეს საკმარისი იქნებოდა საქართველოს გაბრწყინებისთვის. საქართველო ბედნიერია, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მისი მფარველია. ბედნიერია, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გადაარჩინა კალთა და იცავს ხილული თუ უხილავი მტრებისაგან", - ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, მოციქულებს წესად ჰქონდათ, რომ როდესაც სუფრასთან დასხდებოდნენ, ორ ადგილს ტოვებდნენ, ერთი მაცხოვრისთვის იყო განკუთვნილი, მეორე - ღვთისმშობელისთვის. მოციქულები დარწმუნებული იყვნენ, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მაცხოვარი მათთან ერთად უხილავად იყვნენ.

პატრიარქმა შესთხოვა უფალს, მოიღოს მადლი და წყალობა ჩვენზე და უფლის კურთხევა და მფარველობა ყოფილიყოს საქართველოზე.

ქადაგებისას პატრიარქმა ასევე გაიხსენა "ქართლის ცხოვრება" და აღნიშნა, რომ არაერთ შემთხვევაში ყოფილა აღწერილი "ქართლის ცხოვრებაში", როდესაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დედამ გადაარჩინა მტრებისგან საქართველო.

უწმინდესის თქმით, ჩვენ ხშირად მივმართავთ ლოცვით მფარველობისთვის ღვთისმშობელს "მოწყალებისა კარგი განგვიღე".

უწმინდესმა მიმართა მრევლს, მასთან ერთად ეთქვათ ეს ლოცვა კიდევ ერთხელ. პატრიარქთან ერთად მრევლმა სამჯერ ამ ლოცვით მიმართა ღვთისმშობელს.

პატრიარქმა საუბრისას დასძინა, რომ დღეს სიონის საკათედრო ტაძარში 19.30 საათზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი შესრულდება ავადმყოფთა და უძლურთათვის, რომელსაც თავად პატრიარქი შეასრულებს.

ქადაგების ბოლოს, უწმინდესმა სასულიერო პირები დააჯილდოვა. კერძოდ, დეკანოზი იოანე ბარკალაია, გამშვენებული ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და ასევე მღვდელი საბა ჭიკაიძე ოქროს ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა და დეკანოზის ხარისხში აიყვანა.

საუკუნის აღმოჩენა - უძველესმა წარწერამ შეიძლება დამწერლობის ისტორია შეცვალოს

"ეს არის სტაციონარული წარწერა, საკურთხევლის პოსტამენტზე ამოტვიფრული; სწორედ იმ ხალხის ნაწერი, რომელიც აქ ცხოვრობდა".

რამდენიმე დღის წინ საქართველო შეძრა არქეოლოგიურმა აღმოჩენამ იგოეთთან ახლოს, გრაკლიანის გორაზე. სავარაუდოდ, ნაპოვნია უძველესი წარწერა. სპეციალისტების განმარტებით, თუ დადასტურდება, რომ საკულტო ნაგებობის ნაშთებზე გამოსახული ძველისძველი, ერთი შეხედვით, ორნამენტის მსგავსი ხვეულები მართლაც წარწერაა და თანაც - უძველესი ქართული, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ დამწერლობის ისტორია შეიცვლება. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ვახტანგ ლიჩელი:



- ეს არის არქეოლოგიური ძეგლების მრავალფეროვნებითა და უზარმაზარი ქრონოლოგიური ჩარჩოთი გამორჩეულ მესამე ტერასაზე მდებარე ტაძრის საკურთხეველზე გამოსახული 2700 წლის წინანდელი წარწერა. ეს ამ პერიოდის ერთადერთი წარწერაა და განურჩევლად იმისა, როგორ გაიშიფრება, უკვე ცხადია, რომ ქართული დამწერლობის ისტორია 2700 წლის წინ იწყება, ანუ ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს დამწერლობის ორიგინალური სისტემა ჰქონდათ.

- ითქვა, თითქოს არამეულ დამწერლობას ჰგავს; ისიც ითქვა, რომ არამეულთან საერთო არაფერი აქვს...

- ვიდრე ტექსტი სრულად არ გაიშიფრება, დაბეჯითებით რამის მტკიცება ძალიან რთულია, მაგრამ მე არამეულთან მსგავსებას ვერ ვხედავ. ზუსტად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს არის დამწერლობის ორიგინალური სისტემა, დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული დამწერლობის ნიმუში და იმდროინდელი ცივილიზაციების არეალში არსებულ არც ერთ დამწერლობას არ ჰგავს.



- ფიქრობთ, რომ ის ნამდვილად ადგილობრივ მოსახლეობას ეკუთვნის?

- ეს არის სტაციონარული წარწერა, საკურთხევლის პოსტამენტზე ამოტვიფრული; სწორედ იმ ხალხის ნაწერი, რომელიც აქ ცხოვრობდა.

- უცხოურ სამეცნიერო წრეებს თუ აცნობეთ ამ წარწერის ამბავი?

- ჰოლანდიაში გამოეხმაურნენ ამ ფაქტს.

- რა შეიცვლება დამწერლობის ისტორიაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს არქეოლოგიური აღმოჩენა მართლაც უძველესი წარწერაა?

- ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა, რადგან გამოჩნდება აქამდე სრულიად უცნობი, ორიგინალური დამწერლობა.

ზუსტად ძნელია თქმა, რამდენი ხანი დასჭირდება გაშიფვრას, რადგან ამისთვის ზოგჯერ რამდენიმე დღეც საკმარისია, ზოგჯერ კი წლებია საჭირო. ბევრ უძველეს ტექსტს დღემდე იკვლევენ, ერთი რამ კი ცხადია - რადგან ტაძარში აღმოჩნდა, ეს რელიგიური წარწერაა.

P.S. გავრცელდა ინფორმაცია, რომ გრაკლიანში არქეოლოგიური გათხრები შეწყდა, რასაც არ ადასტურებენ არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ვახტანგ ლიჩელი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ანთიძე.

ნიკა ანთიძე - სამწუხაროდ, ზოგიერთმა ტელეკომპანიამ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა, გრაკლიანში არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს. ძეგლის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა სახელმწიფომ. ჯერ კიდევ 2014 წელს დავაფინანსეთ 50 000 ლარით არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ასევე 10 000 ლარი გამოიყო მუზეუმის კონცეფციისთვის, რომლის მიხედვითაც მუზეუმი უნდა მოეწყოს ღია ცის ქვეშ. არქეოლოგიური გათხრებისთვის წელს გამოიყო 100 000 ლარი და პრემიერ-მინისტრის თანხმობით 270 000 ლარი სამუზეუმო სივრცის მოსაწყობად. ეს არის არქეოლოგიური სამუშაოები და არა სამშენებლო, რომელიც ბოლომდე უნდა მიიყვანონ. ჯერ მიმდინარეობს მუშაობა, მაგრამ დროებით დაკონსერვდება სამუშაოები მომავალ სეზონამდე, რათა ძეგლს საფრთხე არ შეექმნას. ამასობაში მიმდინარეობს მუზეუმის მშენებლობა.

შვილები: აკაკი, ვაჟა; რძლები: მარინა, ოლია, მირანდა; შვილიშვილები: კახა, დათო, ლაშა, დემნა, სესილი, მარიტა ოზაშვილები იუწყებიან

ზინა თარაშვილ-ოზაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/VIII, 5 საათზე, დაკრძალვა 30/VIII, 2 საათზე, ქ. დედოფლისწყაროში.

ნაირა გორაშვილი, ზურაბი, მაგდა, ნატალი პოპიაშვილები, ირაკლი და ნია მელაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ აკაკი და ვაჟა ოზაშვილების, ოლია გავაშელის ოჯახებს

ზინა თარაშვილ-ოზაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: მამა პეტრე ხუმარაშვილი, ნათელა იაკობიშვილი, მერაბ იაკობიშვილი, მიშიკო სეხნიაშვილი, ბესიკი და სპარტაკი ზალდასტანიშვილები, სიმონ ჯამასპიშვილი, გოგიტა ნასრაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ზინა თარაშვილ-ოზაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ვაჟა და მირანდა ოზაშვილებს დედის გარდაცვალების გამო.

გამოსათხოვარი

ზინა თარაშვილ-ოზაშვილი

რაიონის პედაგოგიურ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა. ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა ზინა თარაშვილ-ოზაშვილი. გამორჩეული ნიჭიერების, ინტელექტის და პატიოსნების მქონე მასწავლებელს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც კოლეგებს შორის, ასევე საზოგადოებაში. მას აფასებდნენ თავისი მოსწავლეები, როგორც მცოდნე, მომთხოვნ და სამართლიან პედაგოგს.

სრულიად ახალგაზრდამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მშობლიურ რაიონს მოაშურა და მრავალმა თაობამ გაიარა მის ხელში თითქმის 50 წლიანი სამსახურის მანძილზე. მაღალპროფესიული პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად იგი აქტიური იყო საზოგადოებრივ საზოგადოებაშიც. ამიტომაც, მას მრავალი ჯილდო აქვს მიღებული.

ქალბატონი ზინა იყო კარგი მოქალაქე, კარგი მეუღლე, დედა და ბებია. განათლებული, ზრდილი და საზოგადოებრივად აქტიური შთამომავლობა დაუტოვა ზინა მასწავლებელმა ქვეყანას და ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან. მისი ხსოვნა, როგორც კარგი პედაგოგის, კარგი ადამიანის, საიმედო მეგობრის და კეთილშობილი პიროვნებისა, დიდხანს დარჩება კოლეგების, მისი გაზრდილი მოსწავლეების, ახლობლების და მეგობრების გულებში. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს.

ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის
პედაგოგიური კოლექტივი.

გიორგი ნათათრალაშვილის წარმატების ფორმულა

ბავშვის მომავლის განსაზღვრაში ოჯახი უდიდეს როლს ასრულებს. სამწუხაროდ, ზოგჯერ ბავშვის ინტერესი და მისწრაფება სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ყურადღების მიღმა რჩება. მე კი მინდა მოგითხროთ იმ ბედნიერ შემთხვევაზე, როცა მშობლებისა და გარშემომყოფთა დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია პატარა გიორგი ნათათრალაშვილის განსაკუთრებული სპორტული მონაცემები. მათ მეზობელ სოფელში მოიძიეს ძიუდოს მწვრთნელი კახა

წიკლაური და ბავშვის მომავალიც იმ დღიდან განისაზღვრა. პროფესიონალმა მწვრთნელმა სხარტი, მოქნილი და საზრიანი ბიჭი დროულად შეიცნო და აქედან დაიწყო გიორგის სპორტული კარიერა.

ზოგადად, ნათათრალაშვილებმა ქართული ძიუდოს ისტორიაში მნიშვნელოვანი სიტყვა თქვეს, მათ შორის იყო გიორგის პაპა - გიორგი (ჟორა) ნათათრალაშვილი, რომელსაც ლომის წვლილი მიუძღვის გიორგის სპორტულ წარმატებაში.

მაღალი მოტივაცია, თავდაუზოგავი შრომა, ჯანსაღი ცხოვრების სტილი, გარშემო მყოფთა თანადგომა, მწვრთნელების პროფესიონალიზმი და სხვა მრავალი ფაქტორი განაპირობებდა იმას, რომ 30 კგ. წონით კატეგორიაში 11 წლის გიორგიმ კახეთის რეგიონალურ პირველობაზე ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიოპოვა. ამას მოჰყვა ყვარლის, ახმეტის, გურჯაანის ტურნირების პრიზიორ-ჩემპიონობა.

გადის წლები...გიორგის ოთახის კედლები ვეღარ იტევს სიგელებს, მედლებს, ფასიან საჩუქრებს... ამაყობს ოჯახი, სკოლა, სოფელი, რაიონი... „კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი არც თავის დედასაო“- ამაყად აცხადებენ ფშავლები.

კახა მასწავლებლის ძალისხმევა უდაოდ დასაფასებელია, თუმცა სოფლის პრიმიტიული ტატამი გიორგის სპორტულ შემართებას ვეღარ აკმაყოფილებს. საჭიროა უფრო მეტი მასშტაბები. ამ მიზნით ოჯახი ტოვებს სოფელს და 2006 წლიდან თბილისში გადადის საცხოვრებლად, სადაც ახალგაზრდა სპორტსმენი ძიუდოს კლუბ „შევარდენი 2005“-ში იწყებს ვარჯიშს. მიზანსწრაფული გიორგი კლუბის სახელით 45 კგ. წონით კატეგორიაში ლიდერობას არავის უთმობს.

2012 წელი განსაკუთრებულია გიორგის ცხოვრებაში... 18 წლის ბიჭი უკვე საქართველოს ჩემპიონია. სულ მალე კი საერთაშორისო და სარეიტინგო ტურნირების პრიზიორობა მოიპოვა. ამას მოჰყვა გერმანიასა და საბერძნეთში გამართულ ტურნირებზე მოგებული შეხვედრები. ერთი სიტყვით, გიორგის წარმატება ასაკის შე-

საბამისად პიკს აღწევს.

გიორგი ნათათრალაშვილი ძიუდოში მოპოვებული წარმატებით როდი კმაყოფილდება, იგი ბედს სამბოსა და ქართულ ჭიდაობაშიც ცდის. 2012 წელს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გიორგიმ სამბოს მსოფლიო ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

გიორგის ამ წარმატებით ამაყობს დედოფლისწყაროს რაიონი. ყველას უხარია ახალგაზრდა სპორტსმენის მიღწევები. გვჯერა, რომ გიორგი მოპოვებული წარმატებით არ დაკმაყოფილდება და კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს მის გულშემატკივრებს.

გიორგი, შენი მიზანდასახულობისა და ფორტუნას წყალობით სულ გამარჯვების კვარცხლბეკზე მდგარიყავი. ბევრჯერ ასახელე მშობლიური სკოლა, აღმზრდელები და მეგობრები.

ლელა დარძული,
ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგი

ულოცავენ!

ქეთინო ოზბეთელაშვილს!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო, გილოცავთ დაბადების დღეს. იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი შენს ლამაზ ოჯახის წევრებთან ერთად.

ხარ ძალიან კარგი დედა და კარგი მეგობარი. ყოველთვის შემართული ხარ ჩვენს დასახმარებლად, გვანებივრებ ლამაზი ლექსებით და უზომო სიკეთით.

იცოცხლე დიდხანს!
შენი შვიდეული

მარინე მოლაშვილს!

ჩვენთვის ძვირფასო და უბადლო მეგობარო მარინე, გილოცავთ დაბადებიდან 65-ე წლისთავს.

გისურვებთ ყოველივე კარგს თქვენს ჰირად ცხოვრებაში.
სულით ლამაზი ხარ, სახით მშვენიერი,
მეგობრები არ დაგთმობთ წუთით, წამიერით,
გვინდა, რომ გნახოთ მუდამ ბედნიერი,
გფარავდეს უფალი და მამა ზეციერი.

ცისია და მარიკა ოჯახებით.

მარინა მოლაშვილს!

არაჩვეულებრივ პიროვნებას, სტუმარ-მასპინძლობის ეტალონს, ბრწყინვალე მეოჯახესა და თავდადებულ დედას შვილისთვისა და შვილიშვილებისთვის, ნათესავებისა თუ უბრალოდ ახლობლებისთვის, უმშვენიერეს ქალბატონს, რომელიც მთელ რაიონში ცნობილია თავისი კეთილი გულითა და მზრუნველობით, ნათესავები ვულოცავთ დაბადების 65-ე წლისთავს,ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს, დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას; ღმერთმა თავისი ლოცვა-კურთხევა არ მოაკლოს მის ოჯახს.

ზრუნვით გახელებულს არც კი გიფიქრია,
უკვე მერამდენე წელი შემოგაცვდა;
სევდის დედოფალს ნაზი აბრეშუმის,
ქარმა ქარვისფერი კაბა შემოაცვა.
ისევ უმაწვილქალობ, სტუმრებს ეგებები,
მთვრალი სექტემბერი ფერხულს ჩაებმება,
დგახარ ხატების წინ, უფალს ევედრებიგული გამიხარე, გული არ ბერდება.

პატივისცემით,
მული მეგი ნანობაშვილი და **მაზლი** გივი კაცაძე ოჯახით.

ეს საინტერესოა

1. ტიბეტურ ენაზე ლამა ყველაზე მაღალს ნიშნავს.

2. მოცარტს აქვს ცხოვრებისეული ოპერა-კომედია სახელწოდებით-,,ისინი ყველანი ისე იქცევიან, როგორც ქალები".

3. ოსკარ უაილდმა ქალაქგარეთ გასეირნებისთვის აუცილებელი ტანისამოსი გამოიგონა, რომელსაც დღეს შორტებს ეძახიან.

4. აფთიაქს ადრე ,,ალქაჯების სამზარეულოს" ეძახდნენ.

5. მაჰათმა სანსკრიტზე ,,ღვთაებრივ ზეადამიანს" ნიშნავს.

6. 20 წლის დანიელა ნელსონს 52 კილოგრამიანი როტველიერი დაესხა თავს, ქალიშვილი არ დაიბნა და ძაღლს... კბილებით ჩააფრინდა, გაოცებულმა როტველიერმა თავი დაანება მსხვერპლს და წკმუტუნით გაიქცა. ძაღლის პატრონი ამბობს, რომ ცხოველმა სერიოზული შოკი მიიღო.

7. ა.შ.შ-ში, სადაც კერძო საკუთრება ლამის ხელშეუხებელ სიწმინდედ მიიჩნევა დაკეთილი სახლის კარზე შესაძლოა თვალი მოჰკრა წარწერას: ,,არ შეხვიდეთ, გესვრიან! ცოცხლად გადარჩენილებს გაასამართლებენ."

8. გოლგოთა ,,თავის ქალას" ნიშნავს.

9. ,,გინესის რეკორდების წიგნში" შესულია კვერცხი, რომელიც 1979 წლის 2 ოქტომბერს ტოკოში 198 მეტრის სიმაღლიდან ჩამოაგდეს და არ გატყდა.

10. დაძაბული ფიქრის დროს ადამიანი უამრავ კალორიას წვავს.

11. სვეიცარიაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: მსუბუქი ყოფაქცევის ქალმა დახმარებისთვის ადვოკატს მიმართა-კლიენტის საძიებლად, ღამით ვერ გამოვდივარ, პოლიცია მუშაობის საშუალებას არ მაძლევსო, ადვოკატმა ძალზე მარტივი გამოსავალი შესთავაზა-ძაღლის საძენა ურჩია, შვეიცარიის კნონების მიხედვით, ძაღლის პატრონს უფლება აქვს, ღამის განმავლობაში ორჯერ გაასეირნოს ორფეხა მეგობარი.

12. აკაკი წერეთელი ამბობდა: ,,გვირგვინებს ნუ მოიტანთ, როდესაც მოვკვდები, თუ ჩემი პატივისცემა გინდათ, იმ გვირგვინების ფული ახლავე მომეცით".

13. ა.შ.შ.-ს სასწავლო დაწესებულებაში ხშირად ნახავთ წარწერას ,,გამაგრდით, მალეპარასკევია."

14. ერთადერთი პლანეტა მზის სისტემაში, რომელსაც ღმერთის სახელი არ ჰქვია დედამიწაა.

15. მსოფლიოს ყველაზე ,,ახალგაზრდა" ქვეყანა იემენია, იქ მოსახლეობის 52% 15წლამდე-მოზარდია.

16. მწერალმა შერიდანმა ერთ-ერთ თავის კომედიაში უპატივცემულოდ მოიხსენია ინგლისის პარლამენტი. ამის გამო მას სასამართლომ გამოუტანა სასჯელი-პარლამენტში მუხლმოყრილს, ბოდიში უნდა მოეხადა კანონმდებლისთვის. შერიდანმა შეასრულა საჭირო რიტუალი, მაგრამ როცა ფეხზე დგებოდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, მუხლიდან მტვერი ჩამოიბერტყა და თქვა:

- ღმერთო ჩემო, რა სიბინძურეა ამ დარბაზში.

ქირავდება!

ქ. თბილისში ქირავდება ერთოთახიანი ბინა სანზონის დასაწყისში (კინო „საქართველოსთან“ ახლოს). ფასი შეთანხმებით.

მსურველები დაგვიკავშირდით:
599-85-58-32

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 31.08		სამშაბათი 01.08		ოთხშაბათი 02.08		ხუთშაბათი 03.08		პარასკევი 04.08		შაბათი 05.08		კვირა 06.08	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	19 °	18 °	18 °	17 °	19 °	18 °	19 °	18 °	22 °	21 °	23 °	20 °	22 °	21 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ჯოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.